

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 5

ქ.ვანი თავისუფლების N65

6 მარტი 2018 წელი

11.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - რამაზ არველაძე

სხდომას ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, ეთერ ჭიჭინაძე, გიგა გოგიბერიძე, აპოლონ რამიშვილი

დასწრების ფურცელი თან ერთვის / დანართი: N1/

საკვატო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: დავით ხარძეიშვილი, ამირან ტალახაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, კობა ძაგნიძე, თორნიკე ერისთავი.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსი - **მიხეილ სვანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **ივანე მამფორია.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **რამაზ არველაძე**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N 27 13 განკარგულებით დამტკიცებულ „სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს: მიხეილ სვანაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხივის შესახებ;

მომხს: ივანე მამფორია

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N 27 13 განკარგულებით დამტკიცებულ „სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ ფინანსური დახმარება დაზარალებულს მიეცემა ერთჯერადად, დახმარების ოდენობა განისაზღვროს ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 ლარის, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარებულ ოჯახზე არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კარგი იქნება ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე თანხის მიცემის ზღვარს თუ გავზრდით, დაახლოებით 5000 ლარის ოდენობით.

მომხსენებელი პასუხობს:

ნამდვიდა მისასალმებელია თქვენს მიერ მოწოდებული წინადადება, მაგრამ გასარკვევია კიდევ დამატებით თუ მოიძებნება თანხა ბიუჯეტში.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილ საკითხზე უფრო ვრცლად ვისაუბრებთ საკრებულოს სხდომაზე.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N 27 13 განკარგულებით დამტკიცებულ „სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამაში“ ცვლილებების შეტანა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე-6

წინააღმდეგი- არცერთი

/ დანართი 2/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2016 წლის 30 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N31 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 6800,0 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 2126,9 ათასი ლარის მოცულობით.

გადაწყვეტის:

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხივას.

მომხრე-6
წინააღმდეგი- არცერთი

/ დანართი 3/

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად. საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე